

1912



საბავშვო მხარე

საბავშვო
მხარე

• მხარე საბავშვო მხარე •



036060
№ 12

მშალდი

საქართველოს საბავშვო საზოგადოებრივი სამსახური

№ 12

თბილისი, 1912 წ.



გ ა ი ბ უ ტ ა.



შ ი ნ ა ა რ ს ი:

I — გაიბუტა, — სურათი 1

II — გულ-კეთილი დარო, — ჯექსი, შიმქადის 3

III — გოგის დოღი, — ირ. კვდშეიდისა. 5


IV — ჭირვეული შაშვის ბახალა, — ჯექსი ა. შანშიაშეიდის 11

V — ოთხნი ერთ ოჯახიდან, — თარგმ. (დასსსრუდი) შარიაშ
იაშეიდის 14

VI — ბატონ სევენის ციკანი, — დოდესი, (ფრანგულიდან)
დ. კარბუღაშეიდისა. 17


VII — უდიდესი სახლი ქვეყანაზე 23

VIII — გასართობი: გამოცანა, რებუსი და აღსნა. 24





გულ-კეთილი დარო.



მა-სუჭუჭს, ცუკრუმელა
მიცუნცულებს ჩენი დარო, —
ნორს სახესე დახატვია
სინარული სანეტარო.

დილით ძიამ დაუევაზა,
კამფეტისთვის მისცა ფული,
— მიტომ არის, კაკორ ტუჩსე
რომ დაურბის სინარული.

და ფეს-მარდად მირბის, მირბის:
შიაღწია დუქნის კარებს, —
ძავრამ შეერთა!... ვიღაც ბავშვი
საცოდავად ახელს თვალებს.

ძველ ძონძებში განხვეული,
ლუკმისათვის უძვერს ხელსა;
ლოცავს... ლოცავს სასოებით,
იძღუდრება, აფრქევს ცრემლსა.

დაროს ძალსე შეებრალა
 თვისი ტოლი მათოვარი,
 და ღიმილით მიაწოდა
 გროში, — ძიას ნახუქარი.


და შინისკენ კვლავ გაჭკურცხლა,
 მიწის დარო, ჩუენი დარო;
 ნორს სახესე აღბეჭდია
 ცის ღიმილი სახუტარო.

მიმკრალი.





გოგის ღოღი.



გ შენ მოგარჯულებ! ათას ეალსზე შე-
სდგე, ათასი იტრიალო,—ხელიდან მა-
ინც ვერ წამისვალ!..—ემუქრებოდა გოგი
თავის მერანს და მაგრად სწურავდა ხელ-
ში ლაგამს. მერანი-კი მაინც არ ცხრე-
ბოდა: ხან ისე შედგებოდა ხოლმე უკანა ფეხებზე, რომ მხე-
დარი ოდნავ-და ეკიდა ხედ, ხან მოულოდნელად განტებოდა
გვერდზე და მხედარს მუცელ-ქვეშ მოიგდებდა, ხან ისე დაიქ-
ნევდა ხოლმე კისერსა, თითქოს თავისი მხედრის ძალ-ღონეს
სინჯავდა. მაგრამ გოგი იმიტომ იყო გოგი, რომ მისი ძირს
ჩამოგდება არც ისე ადვილი იყო.

—ტბრუ, შე ტიალო, ტბრუ!—შეუტევდა ხოლმე გოგი,



აუკრავდა ლაგამს და წაიფანდა უკან-უკან; ხან-კი გაგულისებური ამოჭკრავდა მათრახს და უცებ გააქანებდა წინ.

— განსე, განსე, საბარდა! — აფრთხილებდა გაქანებულ ცხენიდან გამჟღავნებულ-გამომჟღავნებულს და თან თავმოძვრებდა დაჭურჭლებდა ხევიდან: „აბა ერთი შემომხედეთ— რა ბიჭი ვარო.“

მაგრამ ნამდვილი ბიჭობა-კი გოგის დღეს უნდა გამოეჩინა. დღეს მას და მის ამხანაგებს, სოფელში განთქმულ მხედრებს, დოღი ჰქონდათ დანიშნული. დოღის ჰირობაც მაგრე რიგად ადვილი არ იყო; თქვენ წარმოიდგინეთ: გაჭენებულ ცხენიდან გადმოხტომა, კვლავ შესტომა, გადაწოლ-გადმოწოლა და დედამიწიდან ქვის ალები! მეორეც ისა— ვინც გაუსწრობდა, მისი იყო უკან დაწმომილვის, როგორც ცხენი, აგრედვე სამხედრო იარაღიც. შერცხვენას და თავის მოჭრას ხედ ისიც ერთოდა, რომ მხედარი მთლად ესაღმებოდა თავის ავლადიდებებს. მერე სადღა გაეყოფოდა თავი ურამოდ, უიარაღოდ.

— არა, არა, — ფიქრობდა გოგი, — ცხენის იმედიც მაქვს, და ჩემი თავისა ხომ ლაპარაკიც არ უნდა. ქვან-კი არა, თუნდ კენჭს ავიღებ კბილებით და ორი სკუნით ხომ ჩემი „მკერდა“ (ანუ ეძახდა თავის რამს გოგი) ვევლახე წინ გაჩნდება! ტყუილად-კი არ მოუმატე დღეს დილით ქერი. ეი, როგორ იქაფებს ჰიროს! ისე ღრღნის ლაგამს, თითქოს იმუქრება: აბა ვინც გამისწრობს და გამოჩნდებაო. ეოჩაღ! ეგრე, აი, ეგრე! აბა, ერთი მასახელე, ჩემო მკერდა!

მიუხაღვინა გოგიმ თავის მკერდას და გადაუსვა გავასე ხელი. ცხენმა თითქოს იგრძნო ჰატრონის ალერსი და დაიწყო გვერდ-გვერდზე თამაში.


„ვიჭიჭი! ვიჭიჭი!“ მოესმა ამ ღრღნის გოგის ამხანაგების ცხენის ჭინვინი და ფეხთა თქარა-თქური. „მოდიანს,“ იფიქრა

გოგიმ და, რომ უფრო მამაცი შესედულება მიეცა მერნისათვის, თავი მალა აუწია, ქუდი გვერდზე მოიგდო, ხმალი გაისწორა და გააქანა ცხენი მათ მისაგებებად.—ჩვენ მხედრობას გაუმარჯოს,—დამხსენს უველამ ერთად და სალამ-ქალამის შემდეგ დაუწყეს ერთმანეთს თვალიერება.

—მე გუშინ დავაჭედინე ჩემი ლურჯა!—ამბობდა ერთი და თან გადსწეილი ათვალიერებდა ცხენის ფეხებს.

—მე დღეს დავაკვრევინე ხალები, მაგრამ, ცოტა არ იუოს, ლურსმანმა ქახახში უწია და „ქორია“ მოიკოჭლებს!—ამბობდა მეორე.

—მე ვერ მოვასწარ, ხალებანი შინ არ დამისვდა, მაგრამ ისეც არა უჭირს—რა „ჩემს მერცხალას,“ ისე გაფრინდება, რომ ფეხს არც-კი დააკარებს დედამიწასე,—იქადოდა შესამე.



ამგვარად, ლაპარაკით გასწიეს სოფლის შუა გულში, დიდ მწვანინასზე. აქ უნდა ეცადნათ თავისი და თავის რამების უნარი. მოილაპარაკეს, ჩამოთვალეს კიდევ დიდის ჰირობები: საიდან სადამდე უნდა ერბენინებინათ ცხენები, რამდენჯერ უნ-



და გადმოძტარიუნენ გაჭენებულ ცხენებიდან, როგორ აეღოთ ქვა და სხვა.

გამწკრივდენ, დასწორეს ცხენები, გადაავლეს კიდევ თვალი ერთმანეთს. გოგომ იკისრა ნიძანის მიცემა. მას უნდა დაეთვალია—ერთი... ორი... და შესამეყეკი უნდა მიეძვათ ცხენები.

—სმენა იეოს და გაგონება!—დაიძახა გოგომ.

—ძირს ტუპანი და გაგორება!—უპასუხა ვიღაცამ გოგის. ასტუდა სიცილი.

—რას იცინით!— ცოტა არ იეოს შეუტია გულ-ნაწიქნამა გოგომ, —ხუმრობთ, თუ რა არი! სმენა მეთქი! ერთი! ორი! სამი!

„ტელამ! ტელამ! ტელამ!“ გაისმა ერთმანეთსე მათრახების ტელამუნი, და გაქანდნენ ცხენები წინ. ზირველ ორ გამარჯვებულსე მართლაც ეველასე წინ გაჩნდა გოგის მერანი. უკანები მისდევდნენ ეიქინით და მათრახების ტელამუნით. მწვანისანი თათქოს იძროდა ცხენების ფეხებ ქვეშ. გოგი გაელვარებული თვალებით მიექანებოდა წინ. ეჭვი არ იეო გამარჯვება მას დარჩებოდა. „აბა მკერდა! აბა მკერდა, შენი გულისა, ჭა!“ დასჭევილა გოგომ... რამდენიმე ნახტომი ცხენიდან ძირს და ძირიდან ისევ ცხენსე, ისე მარდად და კოხტად გააკეთა, რომ მაეურებლებში ასტუდა ვაძას მახილი და ტაშის ცემა. ეველასე გულიანად-კი იცინოდა და ტაშს უკრავდა გოგის დიანუცა, რომელსაც თავი მოსწონდა მძის ასეთი სიძამცით. ერთი ზირობის შესრულება-და აკლდა გოგის: უნდა დასწდომოდა ქვას და აეღო. მარჯვენა ფეხი მაგრა ამოსდო ცხენს მუცელში, მარჯვენა ხელი ფაფარსე დასტაცა მერანს და გადაექანა მარცხნივ. აჰ, კიდევ დასწვდა ქვას, მაგრამ აუსხლტა მარჯვენა ფეხი, თავმა გადასძლია და ეირა-ეირა გადასული გაიძხლართა ჭინჭრებში.

—მიშველეთ! ვაჟა! მიშველეთ! ვაჟა! — მოისმა ჭინჭრებიდან გოგის ღრიალი და, რამდენსაც კოტრიალობდა, იმდენად მეტს სუსხავდნენ ჭინჭრები, და რამდენსაც სუსხავდნენ, იმდენად უფრო მეტად ღრიალებდა გოგი. მუყურებლებში ერთი ორთატრიალი და ჩოჩოლი შეიქნა გოგის დაია ნუცამაც რომ დანახა მძა ამკვარ უოჟაში, თვითონაც ღრიალი მორთო.

გოგის „ბაიათით“ მოულოდნელად შემერთალ ბატ-ინდოურ-ქათამმა მორთო ჭინჭრებში კისკისი და უიენი. გოგის გამარჯვებული მეკობრები-კი ხარხარებდნენ გულიანად.




—ესეც შენ! ესეც შენ! ჭინჭრებში რომ არ ირბინო, სხვა ადგილი ვეღარ ნახე! — მოსთქვამდა გოგის ღრიალზე ჭაიჭა-რად მოჭრილი მისი დედა და უტყავუნებდა გოგის უკანიდან... მიტყვივეს გადმოვარდნილი, ჭინჭრებით დასუსული მხე-



ღარი. მიტყეიანს, და მერე რით მიტყეიანს? თავისივე რაშით, თავისივე ცხენით, თავისივე „მკერდათი“.

კიდევ კარგი, რამ გოგამ და მისმა ამხანაგებმა თვისი რაშები გამოსჭრეს ბაღში მსუბუქ დიდგულის ხიდან, თორემ შენი მტერი იქნებოდა, მართლაც დაჭედლილი რაში ათამაშებულაიო გოგის სურვსე.

ი. ევლოშვილი.



დამ, ამბობო-თა ხომ... მტერი მისი მისი მისი...
...მტერი მისი მისი მისი...
...მტერი მისი მისი მისი...
...მტერი მისი მისი მისი...



ჭირვეული შაშვის ბახალა.



ედა-მაშვეს ერთხელ შვილი ძალხაზი
აუტედა დილით, განთიადისას:
უნდა ბუდიდგან გადაუფრინდეო,
ძომბეზრდა ჯდომა სულ ერთ ადგილას
და ვიწრო ბუდის შავი რიდეო.

დედა ურჩევდა: შვილო, ნუ გინდა!
ჯერ ადრე არის, ფრენას ვერ შესძლებ,
ფრთები სუსტი გაქვს, ვერ გიდგნობენო;
კატის კნუტები არ გაცოცხლებენ,
როს ბასრ ბრჭყალებით შეგიპყრობენო.

მაგრამ შაშუნამ არ გაუგონა,
მას იტაცებდა ბაღი ფურჩქვნილი,
იქ მრავალ-ფერად, სულის წარმტაცად
ჭხარობდა ვარდი და სხვა უვაჟილი;
სურდა მას ნორჩისა იქ თავისუფლად
გაენაჯარდნა და დამტკებარიყო.

ერთ დღეს, როდესაც დედა შორს იყო
საზრდოს საძოვანად გადაურენილი, —



თავი ამოჭეო, გადბისედა
და, რა დარწმუნდა, რომ მისი დედა
იქ ახლო-მახლო არსადა სჩანდა,
დიდის წვალებით ფრთებსა გაშალა
და გადაფრინდა ბაღში ბახალა.

ზირველად ერთ ხეს თავი ახალა;
მაგრამ არაფრად არ მიიხინა;
დასტკება, როს ნახს ცისფერი ია.
ნახს იქ ვარდი წითლად შინარნი,
ნახს იქ წურო და ნაკადული,
მაღალ კორდიდგან ცელქად მდინარნი.
ნახს ბევრი რამ ჯერ უნახავი
და სინარულით ავესო გული.

ოდეს მინდვრიდან დედა დაბრუნდა,
ბუდეში შვილი ვეღარა ნახს
და დაუძახა:—ჭივ! ჭივ! სადა ხარ?—
გულს ელდა ეცა და ივაგლახსა.

— აქა ვარ, დედავ!— ხმა გააკონა:
— აბა, ტუეილად რად მიშლიდიო?
აქ თავს კარგად ვკრძნობ, მშვენიერებას!
არ ვნანობ, რომ აქ გადმოფურინდიო!

— შვილო, მანდედან რომ ვეღარ შესძლებ
ისევ ბუდეში ამოფრენასო?

— და თუ ვერ შევსძლებ, მას არც ვინაღვლებ,
ვიღაცას სტვენა მიტკობს სმენასო.
ბუდეს ეს ბაღი ბევრად სჯობია;

შენებრ გალობა სხვასაც სცოდნია,
 მე-კი ბუდეში ეს ტკბილი ჭანგი
 დედზე, არასდროს ვამიგონია.

ბახალამ ბაღში ძთელი დღე დაჭყო,
 ისიამოვნა და ინეტარა.

როცა შებინდდა, მას შეეშინდა.

აკივდა. ზეცამ ნაძი დაჭყარა.

სურდა ბუდეში კვალად აფრენა,

მაგრამ ვერ შესძლო, ფრთებმა უბტუენეს.

მას მიეპარნენ კატის კნუტები,

ტკბილად გამოჭხრეს, შეაგნატუენეს.

ა. შანშიაშვილი.





ოთხნი ერთ ოჯახიდან.

(დასასრული).



კოკის თავგადასავალი.

ე უველასე ამაჲი სე ვიუა-
ვი ტეჲში...

ჲერ ავიწერთ იმას, რაც
სარდაფში მოხდა ამ სი-
ტუჲების შემდეგ.

— როგორ, მეგობარო! —
უთხრა ნახშირმა, ცოტა
რომ გუღი მოიბრუნა: — ისე
აგემალა ძარღუები, რომ
ჭკვასედაც შეიმაღე! ან კი-
დეჲ იქნება გადიდების სუ-
რჲილმა აკიტანა!?

— მანატრეთ, — სთჲვა ტორჲმა, — მეც იმიტომ ვიცინოდი,
რომ სხჲები იცინოდნენ, თუძვა, მკონი ეს უადგილო იჲო. კარ-

გი, და განა კოკსს-კი არ უნდა გაგათავებინოთ დაწვებული ამბავი?

— გაათავე, — უთხრა ნახობმა, — მაგისი ამბავი, ვიცე, საშინელი სასაცილო რომ იქნება.

— სრულიადაც არა! ჰირიქით — ჩემი თავგადასავალი მეტად სამწუხაროა. საქმე იმაშია, რომ მე დვიძლი ძმა ვარ ნახშირისა.

— რაო!? შენა, ერთი ბეწო, მოკრუნხული, და ბედვე იმის თქმას, რომ შენ ჩემი დვიძლი ძმა ხარ?

— ეს ასეა, — უნახუნა თავჩუღუნულმა კოკსმა.

— მე მაგას უარსა ვყოფ, — სთქვა ნახშირმა. — აბა ერთი შემოგვხედეთ ორივეს. ეგ სულ მთლად დახვრეტილია, ბუმბულივით მსუბუქია; ყველა თქვენგანი დარწმუნდება, რომ ეგ საცოდავი ორ კანკადაც არა ღირს. აბა ახლან მე შემომხედეთ. მე ვარ სრული, მძიმე, მბრტყეინავი: მაშ იცოდეთ — მე ბრილიანტის ნათესავი ვარ.

— მეც, სთქვა კოკსმა: არ არის კარგი ჩემი ასეთი დამცირება შენც რომ აგრე მოგეცოდნენ როგორც მე, არც შენ გექნებოდა უკეთესი შესახედაობა.

— მოუსმინოთ, — სთქვა ნახობმა.

— მოუსმინოთ, — გაიმეორა ნახშირმა, მაგრამ მე წინდაწინვე მაგისი ერთი სიტყვა არა მჯერა!

— მე ვარ ინგლისელი, როგორც ნახშირი, — განაგრძო კოკსმა: მე და ნახშირი ერთსა და იმავე ტყეში ვიზრდებოდით. ისეთივე ბუერს ვიყავი ამ ანი ათასის წლის წინად, როგორც იყო ნახშირი. მაშასადამე მთლად ჩემი თავგადასავალი ისეთივეა, როგორც მაგისი, რადგანაც მეც ისეთივე ნახშირი ვიყავი, სანამ სული, ე. ი. გასი არ ამომძვრა, — განაგრძო კოკსმა.

— ღმერთო ჩემო! განა ეს შესაძლებელია!



— ეს ნამდვილი სიძარტლეა, — მიუგო კოკსმა.

— ჩვენ ორივე გამოგუთხარეს ერთსა და იმავე ძალბროდან, ერთსა და იმავე კალათებით აკვიტანეს და აქაც ერთსა და იმავე გემით მოგვიტანეს.

მხოლოდ აქ-კი დაფშორდით ერთმანეთს. მე ერთ გასის ქარხანაში მოვექეცი, სადაც ერთ უძველესელ ქვაბში მომათავსეს, რომელსაც იქამდის აცხელებდნენ, სანამ გასისაგან სულები დაფიცალე. მაშინ სულ იაფ ფასში მიმიყიდეს ღარიბ ხალხს, რომელიც სარდაფებში სცხოვრობს.

მორთო ისევ ტირილი საცოდრემა კოკსმა და ეველა დიდის ჰატვის-ცემით მოეჭურო იმის ძწუსარებას.

— ეს ამბავი რაღაც უცნაურია, — სთქვა ნახობმა.

— გაუგებარეცა, — სთქვა კოკსმა.

— მაშასადამე, ჭაობში რომ ჩავარდნილყუიყუი, — სთქვა ნახობმა, — იქნება მეც ტორფად გადავქცეულიყუი?..

— მე რომ ასი ათასი წლის წინად მოვეჩხე, ახლა ნახობი ვიქნებოდი, — სთქვა ნახობმა.


— მე-კი ასი ათასი წელიწადი რომ ჭაობში დავრჩენილიყუი, — სთქვა ტორფმა, — უეჭველად ნახობრად გადავქცეოდი.

— ჩემთვის რომ გასი არ გამოეცაღათ... — სთქვა კოკსმა, მაგრამ ცრემლები მოერიდა და ვეღარ გაათავა.

— მაშატეო, ბატონებო, — წარმოხსთქვა ტორფმა: მაგრამ მკონი ჩვენ ოთხივე ერთსა და იმავე ოჯახიდანა ვართ და ამიტომაც ჩსუბი არ შეგუშვენის.


ეველა დათანხმდა ამასე.

მარიამ იაშვილი.



გატონ სევინის ციკანი.

(ფრანგულით).




ატონ სევინს თხები ძალიან უყვარდა, მაგრამ საუბედუროდ — სძირად კვარგებოდნენ სოლძე. გასაკვირველი ის იყო, რომ თხები ერთსა და ი ავე დროს და ერთნაირად კვარგებოდნენ; თოკსა სწევებდნენ, ძიებში მიწობდნენ და მკლუბის კერძად ხდებოდნენ. ვერც სევინის ალერსიანი მოვლანა-ტრონობა და ვერც მკლის შიში ჭკუას ვერ ასწავლიდა, რომ მთისკენ აღარ გაქცეულიყვნენ. საწელებს, ეტეობოდათ, თავისუფლებს ძალიან უყვარდათ.

სევინს ეს უბედურება ძალიან აღონებდა და ამბობდა თავისთვის: საცოდავი თხები ჩემთან მოწვენილი არიან, ამას იქით ერთსაც აღარ შევინახავო; მაგრამ ამას იტყოდა, და მოჩხა — მალე გადაზავიწედებოდა სოლძე.

ერთ დღას ექვსი თხა ერთბაშად დაეკარგა. სევინმა გადასწევითა სამკვირო კიდევ ეყიდნა, მაგრამ მხოლოდ ერთი თხა. ახლა-კი თქმა და ასრულება ერთი იყო. იყიდა და მერე იცით რა? ისეთი მშვენიერი ციკანი, რომ ეველას თვალი იმაზე რჩებოდა; ცქერით ვერა ძლებოდნენ: თოკლივით თეთრი ბაღანი, შუათანა კოხტა წვერი, შავი, კრიბლა, მოკლე და წვეტიანი ჩლიქები და რქები; ამასთან ხასიათით წყნარი და ალერსიანი.

ბატონ სეგინს სახლის უკან კარგა მძალე ღობე-შემო-
ვლებული და ხასხასა მწვანე ბალახით შემოსილი ესო ჭქონ-
და. აქ ინახავდა ჩვეულებრივად თხებს და ეს ახლად ნაუიდი
ციკანიც აქ დაბა. თავის დროსე მოდიოდა და ახალ ბალახს-



ზე ვადუნაცვლებდა ხოლმე. ციკანი ისეთის სიამოვნებით სწი-
წნიდა ბალახს, რომ სეგინი მუდამ განარებული შედიოდა
სახლში.

— ძლივს არ შემხვდა ჩემი გუნებისა! — ამბობდა ხოლმე
თავისთვის სეგინი. მაგრამ მოსტეუვდა: ციკანს მოწეენილობა
დაეტეო.

ერთხელ ციკანმა მთებს გახედა და ამოიოხრა: „ოჰ, რა
კარგია ახლა იქ მძალა ყოფნა! რათაც უნდა ღირს ერთი
განავარდება! მომწეინდა ეს ესო, ეს თოკი; ეს ესო ვირები-
სა და ხარებისთვის კარგია; თხისათვის-კი სულის შემხუთა-
ვია. თხას სივრცე და სირბილი უნდა!..“

ეს იყო და ეს. მას აქეთ ციკანისათვის ბალახი ძირმწა-
რესავით გამწარდა. ციკანი გახდა, დაილია, სულ ერთ ადგი-



ლას იდგა, მთებს გაჭყურებდა და საცოდავად კიკინებდა. ბატონმა სევინმა შეატო — ციკანი უკან-უკან მიდიოდა და მიხეხს-კი ვერ მიუხვდა. ერთხელ, როცა სევინმა გობით წვალი მიუტანა, ციკანი მიუბრუნდა და შეჭკიკინა:

— გამიგონეთ, ბატონო სევინო, მე თქვენთან თან-და-თან ვილევო; ღვთის გულისათვის, მოდი მთებში გამიშვიო!!.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ერთი ამას უუურეთ! ესეც ფეხის სმას არ აჭყოლია! — წამოიძახა შეშინებულმა სევინმა და იქავე ბალახებზე ჩაიკეცა.

— როგორ, ჩემო თეთრავ! განა თავი უნდა დამანებო?

— დიად, ბატონო სევინ!

— იქნება მოკლედ აბინარ? იქნება კსურდეს თოკს მოუმატო?

— არა, ბატონო; თოკიც საკმარისია, სასმელიც და საჭმელიც.

— მაშ რაღა გინდა, ჩემო თეთრავ?

— მთებში მინდა წასვლა, ბატონო სევინ.

— კარგი, თეთრავ, მაგრამ მკელი რომ შეგხვდეს, რას იხამ? სომ ხელად გაგკუდავს?

— მერე რქები რისთვისა მახვს, ბატონო სევინ?

— გკონია — მკელს შენი რქებისა ეძინიან? ისეთ-ისეთი თხები შემიჭამა, რომ რაღა გითხრა: იმათ შენზე უფრო კარგი რქები ჭქონდათ და შენზე გაცილებით უფრო ღონივრები იუფენ, მაგრამ ვერა გააწეეს-რა. შენ იცნობდი ბებერ ფითელას, ამ ბოლო დროს რომ მყვანდა? აი ის იყო ნამდვილი თხა, აი! ისეთი ღონიერი, ისეთი ბორბოტი, რომ მეტი არ შეიძლება. ერთხელ მთაში გაიქცა და ჰირდაპირ მკელს-კი შეჭხენებოდა. მთელი ღამე ებრძოლათ, მაგრამ დილით ვერანა მკელს მანც შეეჭამა საწვალდი ფითელა!

— საწვალდი ფითელა!.. ეკ არაფერი, ბატონო სევინ, გამიშვიო, — წავიდე მთაში!



— — — — — ოჲ, ღმერთო ჩემო!.. — წარმოსთქვა სევინმა, — რა დგე-
მართათ ამ ჩემ თხებსა? ესეც უნდა მკელმა შემიჭამოს?.. მოი-
ცა... მოიცა. შენ ისე შეგევაძრებია ის მთები, რომ ერთ დღე-
საც იქნება თოკს ასწუვეტ და გამქცევი; მე სხვა სრის მო-
ვიგონებ; ბოსელში დაგამწუვდე და იქ იქნები მთელი შენი
სიცოცხლე.

თქმა და ასრულება ერთი იყო: ციკანი ბოსელში შეაგდო
და კარი გადაურახა. საუბედუროდ სანათურის დაკეტვა-კი და-
ვიწებოდა. გამობრუნდა თუ არა სევინი, ციკანი სანათური-
დან ამოხტა და მთისაკენ მოჰკურცხლა.

მთაში ციკნის მისვლამ ვეგლა სულიერი თუ უსულო გა-
ახარა და აახმაურა. ბებერი ცაცხვები თავის დღეში ასეთი
ლამაზები არა ეოფილან. წაბლის ხეები თავსა სრიდნენ და
ეაღერსებოდნენ. ათასნაირი ვაგვილები აქეთ-იქით განსე დგე-
ბოდნენ და გხას უთმობდნენ. ჩიტები სიამოვნებით ჭიკჭიკებ-
დნენ და ჭრიჭინასაც თავის წრინა ჭიანური მოემართა და
თავისი სავარელი ჭანგებით უერთა სმენას ატებოდა.

ერთი სიტყვით: როგორც მეფე — ისე მიიღეს, — მთელი
მთა ციკნის იქ ასვლას დღესასწაულობდა.

ციკანი ბედნიერი იყო: აღარც ჰალაო, აღარც თოკი, —
ნავარდს აღარაფერი უშლიდა. თავისუფლად დანტოდა მთის
ამწვანებულ ფერდებზე. ხან ძაღლა ხტებოდა; ხან ბალახებს
ებუხავებოდა; ხან მარჯვენა, ხან მარცხენა დაეირავდებოდა და
ნებიურობდა. თან ისეთ ხმაურობას აუენებდა, რომ კაცს ეკო-
ნებოდა — ბატონ სევინს მთაში მთელი ფარა ამოურეკიაო.

ამ ნავარდში ისე გავიდა დრო, რომ ციკანმა ვერც-კი გა-
იკო. საღამო ნელ-ნელა მოახლოვდა და დღე იწარებოდა.
საღამოს სიომ გაავრილა არე-მარე, ააშრიალა მთელი მთა.
ამ დროს ჩვენი ციკანი ერთ ძაღლობზე შეძღვარიყო და ქვევით
იუერებოდა: მთელი დაბლობი ბურუსით იყო მოცული.

შორს, დაბლა, ძლივს მოსჩანდა სევენიის სახლი. ქვევიდან საუვირის ხმა მოესმა; ეს ბატონი სევენი იყო: თავის ციკანს ეძახდა. ციკანს გული აუჩქროლდა, რადაც სევდა შეამოაწვა გულსე. ამ სევდის გასაქარვებლად ციკანმა ერთი კიდევ განავარდა. ამ ნავარდში დაღამდა კიდევ. საუვირის ხმა კიდევ მოესმოდა. ციკანი ერთ წიფლის ხესთან შედგა. უცბად მთაში რადაც ხმა განისმა. ციკანს ძველი ეგონა, და ძართლაც ის იყო. ძვლის ეძეული თან-და თან ახლო ისმოდა:

— ჭუ, ჭუუუ, — ეძეოდა ძველი.

— დაბრუნდი, დაბრუნდი, — ვეროდა საუვირი.

ციკანმა ჯერ მონიღომა დაბრუნება, მაგრამ მოაგონდა თუ არა ჰალო, თოკი და ჰატარა ესო, იმ წამსვე ეს ახრი უკუბოლო.

საუვირის ხმა შესწვდა. შუაღამე მოახლოვებული იყო. მთვარე კარგა ძალა წამოდგარყო. ციკანს რადაც ფახა-ფუხი მოესმა: მიხედა და ორი ბრიალა თვალი გააჩნია ხეების ბნელ ჩრდილში. ეს ძველი იყო; უკანა ფესვებზე წამოდგარყო და ხარბის თვალებით უეურებდა. ძველმა კარგად იცოდა, რომ ციკანი მისი ლუკმა იყო და ამიტომ არ ჩქარობდა. ციკანი შიშის ხარმა აიტანა და გამობრუნება დააპირა: „შენ ეი, ციკანო, საით?“ — დაუძახა ძველმა და წითელი, უშველებელი ენა კარგად გადმოაგდო. ციკანი ათრთოლდა: მოაგონდა ვეითელას ამბავი, რომელიც დილაძდის ებრძოლა ძველს, მაგრამ მანაც დღე გაუძწარდა.

ციკანმა ჯერ მოიფიქრა უბრძოლველად დამორჩილებოდა ძველს, მაგრამ შეძევ კადნიფიქრა და საბრძოლველად მოემსადა. მან კარგად იცოდა რომ ძველს ვერ მოერეოდა, მაგრამ უნდოდა თავი გამოეცადნა: ვეითელასსავით დიდხანს გაუძლებდა, თუ არა. ძველმა დიდხანს არ იცადა: გავიდა ათი წამი და ციკანისკენ გამოეშურა.


გახალდა რქების ტრიბლი, სანახავად ღირდა, როგორი სიმაძაწით იბრძოდა საბრალო ციკანი: ასე გასინჯეთ, ერთ ხანს მკელს კიდევაც უკან დახეუნა.


ღიდხანს, თითქმის საძი საათი იბრძოლეს, მერე ცოტა შეისვენეს. ციკანს თეთრი ქურქი სისხლით შეჭლებოდა; მაგრამ არც მკელს დაჭეროდა ხეირი; აქა-იქ სისხლი სდიოდა და ცალი თვალიც ძალიან დაშავებოდა.

ციკანი წამ-და-უწუძ მალლა ცას შესცქეროდა. საწუალი, გათენებას ელოდა. ვარსკვლავებმა ნელ-ნელა კროთმა იწეეს. ბრძოლა ისევ გახალდა. ციკანი უფრო მეტის თავ-გამოდებით იბრძოდა. შორს, ცის კიდესე რაღაც ნათელი გამოჩნდა... ქვევიდან ძაძლის ვივილი მოისმა.

— ახლა-კი სიხარულით მივეგებები სიკუდილს, — სთქვა ციკანმა და მიწასე დაეცა, მთლად სისხლით შეღებილი. მკელიც სწორედ ამას ელოდა: მივარდა და ბატონ სეგინის თეთრას მკლებს კნაწა-კნუწი აუეენა.

დ. კარბელაშვილი.






უდიდესი სახლი ქვეყანაზე.

ლონდონში ააგეს ერთი სახ-
ლი, რომელზედაც დაეხარჯათ
20 მილიონი მანეთი. ამ შენობაში
ექვსი ათასი ოთახია, რომელთაც
ელექტრონით ანათებენ და ათბო-
ბენ.

შენობას უჭირავს შვიდ-ნახევარი
დესიატინა ადგილი; შუაში აქვს დი-
დი ესო, შუაბანდით გადახურული,
რომელშიაც მოთავსებულია უსარ-
მასარი რესტორანი 8500 მღვმური-
სათვის.



გ ა მ ო ს ა ნ ა

ერთსა რამეს სულიერსა ჯიხურნი თავით დააქვსო,
თავისსა წილადობასე ვუელასე დიდი რქა აქვსო.

რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი შალვა ოდიშარიას-მიერ).



3'

ს



მე-11 №-ში მოთაზნებულ ჩეხუსის აღსნა:


ერთი ნახვად ცნობას, ორი ნახვად ქმობას.

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წერა-კითხვის სასოკადოების წიგნის ძაღანიაში იეიდება
შემდეგი წიგნები:

- 1) ზღაპრები ვილჰელმ და იაკობ გრიმისა.—ფასი . . 30 კ.
- 2) ტომის თავგადასავალი,—თხზ. მარკ ტვენისა, ფასი. 50 კ.
- 3) რას გვიამბობს ოთახი,—თხზ. ავენარიუსისა, ფასი 20 კ.
- 4) დასურათებული ასაწყობი ანბანი,—ფასი . . . 1 მ.—კ.
- 5) სკრუჯი და მარლიე,—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.
- 6) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები ჰ. ჟ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი 30 კ.
- 7) ბავშვობა და სიყრმე.—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი 60 კ.
- 8) ორი მხატვარი,—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.
- 9) სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.
- 10) ამხ. „ცისკრის“ გამოცემა,—ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ფასი 5 კ.
- 11) შობა, მოთხრობა გურიის ცხოდრებიდან,—ნინო ნაკაშიძისა, ფასი 5 კ.
- 12) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი 5 კ.



1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურბათებულ საემაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“-ზე

◆ წელიწადი მერვე ◆

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არ-
ჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილე-
ობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

სახეურად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

◆ დასურბათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-
არაკი ალ. მირიანაშვილისა. ◆

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მ. ნა-
ხვეარ წლით—3 მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის
24 წიგნი—3 მან., მოზრდილთათვის **12** წიგნი—3 მან.
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან. და მოზრდილ.
1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო
მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქცია-
ში, ზუბაძაშვილის სახ., გოგოყინ. მრ. № 8. Редакция „На-
кадули“, Головинский пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოე-
ბის წიგნის მდარაში, სსსხდის ქუჩა. ქუთაისში—ისიდორე კვიცი-
ანიძესთან, თ. შთავრდიშვილთან და მარამ ვახუშტიშვილთან. სამტრედია-
ში—ივანე გვადკოვთან. ფოთში—თეოდოლე კანდელაკთან. ბათომ-
ში—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრადიმ ინასრანიძესთან. დ. ხონ-
ში—ეკატერინე ვასილეს ასულ ბახტაძესთან. ოზურგეთში და ლან-
ჩხეთში—დეო იმნაძესთან. თელავში—ვანო შატაშვილთან. ახალ-
ციხეში—კოსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—ვასილ ასვლედიან-
თან და ივანე ელიაშვილთან. გორში—ნინო დომაურთან და ქეთევან
ჯავახიშვილთან. სოხუმში—კნ. მარამ ანასაძესთან. კიათურა-
ში—ივანე გომეჯაურთან. განჯაში—ბ. ამბოქაძესთან. ერევან-
ში—კ. ოდიშარასთან. სიღნაღში—ნ. ასპეტეკაშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსებისძე თუმანიშვილი.